



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია, სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნა

შეფასების თარიღ(ებ)ი - 17,18 აგვისტო, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 3 სექტემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313, ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზია თედიაშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე საბიაშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გავლენების და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინური პროგრამაა და ეფუძნება სოციალური ფსიქოლოგიის თანამედროვე, გამოყენებით და პრაქტიკულ სპეციალობებს. იგი მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომლებმაც ექნებათ სიღრმისეული ცოდნა ოთხ მიმართულებაში, როგორებიცაა: გავლენების ფსიქოლოგია, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია და კროს-კულტურული ფსიქოლოგია. თეორიული ცოდნის საფუძველზე პროგრამის მიზანია, სტუდენტებს განუვითაროს კვლევის შედეგების ანალიზის, ინტერპრეტაციის, კონსულტაციების და რეკომენდაციების შემუშავების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

პროგრამა ინოვაციურია, რადგან მას ანალოგი არ ჰყავს. სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტანია. კრედიტების განაწილება შემდეგია: სავალდებულო საგნები- 50 კრედიტი, არჩევითი კურსი - 30, თავისუფალი კომპონენტი -10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი. არჩევით საგნებში გარდა 4 ძირითადი მიმართულებისა, შეტანილია ინტერდისციპლინარული საგნები.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ახალი სამაგისტრო პროგრამის, „გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“, სამაგისტრო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 17-18 აგვისტოს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.

წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, სამაგისტრო პროგრამის ნაშრომის

ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მონათესავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება მოხდა ბიბლიოთეკარის დახმარებით. ასევე, გასაუბრება შედგა პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამა „გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ უმეტესწილად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. სრულ შესაბამისობაშია მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან. ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია I და II სტანდარტთან.

▪ რეკომენდაციები

1.2 სტანდარტთან მიმართებაში

- გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევის დონეებთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან.

2.2 სტანდარტთან მიმართებაში

- თანხვედრაში მოვიდეს სასწავლო გეგმის და კურიკულუმის რუკაში მოცემული სავალდებულო კურსების ჩამონათვალი.
- სასწავლო კურსების დასახელებაში: „კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და კვლევის თვისებრივი მეთოდები“, გასწორდეს ხარვეზი და დაზუსტდეს სახელწოდება (მაგ. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 1 და კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 2) რადგან ერთიდაიმავე დასახელების საგნები არ გადიოდეს სხვადასხვა სწავლის შედეგებზე. ოთხივე სასწავლო სემესტრის მიხედვით დეტალურად გაიწეროს სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსი – სამეცნიერო წერა – მიზანშეწონილია იყოს სავალდებულო, ვინაიდან იგი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

2.4 სტანდარტთან მიმართებაში

- დაიხვეწოს პრაქტიკის კურსის სილაბუსი და დეტალურად გაიწეროს თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანი, შინაარსი, საშინაო დავალების ინსტრუქცია;
- მიზანშეწონილია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში

- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდზე გადაიხედოს კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის და რიდერების ხელმისაწვდომობა;
- ბიბლიოთეკაში გადაიხედოს წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი გაციფრულება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერება, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, გასწორდეს ფორმულირებები და კორექტული შეცდომები.
- გასწორდეს ხარვეზი პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე.
- გასწორდეს სილაბუსებში არაკორექტული შეცდომები.
- სასურველია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას.
- სილაბუსების შეფასების ფორმებში სასურველია, დასწრების კომპონენტის ნაცვლად, მხოლოდ აქტივობის შეფასება იყოს გამოყენებული.
- სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.
- სასურველია თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობაში ინფორმაცია პერსონალის რაოდენობის შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში.
- პროგრამის განვითარების თვალსაზრისით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად, სასურველია, შემუშავდეს გამოკითხვის სხვადასხვა მექანიზმი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შესახებ

დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, არ ჰქონია დამატებითი მოსაზრებები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაგისტრანტს შესძინოს გავლენების, პოლიტიკური, კროსკულტურული, კომუნიკაციის ფსიქოლოგიის დისციპლინების სიღრმისეული სისტემური თეორიული ცოდნა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასევე ასახულია, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. კერძოდ, გამოუმუშავოს გავლენების, პოლიტიკური, კროსკულტურული, კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სპეციალისტისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. განუვითაროს გავლენების, პოლიტიკური, კროსკულტურული, კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე ანალიზის, შეფასების, ინტერვენციების, და კონსულტაციის უნარი; და განუვითაროს კვლევის ვალიდური დიზაინის შემუშავების, კვლევის შედეგთა ანალიზის, ინტერპრეტაციის, კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავების უნარი.

სამაგისტრო პროგრამის გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან მკვლევრის, ფსიქოლოგის ან კონსულტანტის პოზიციაზე, კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ანალიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკური პარტიების აპარატებში, მასმედიაში.

პროგრამა ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში წარმოებული კვლევები გაამდიდრებს გავლენების, პოლიტიკური, კროსკულტურული, კომუნიკაციის ფსიქოლოგიას საქართველოს რეალობის ამსახველი ცოდნით და სოციალური ფსიქოლოგიის დარგს თანხვედრაში მოიყვანს ამ სფეროში არსებულ მსოფლიო გამოცდილებასთან, ხოლო კვლევის შედეგების გათვალისწინება საზოგადოების განვითარებას და კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნას, გადაცემას და გამოყენებას მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიასთან.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ გავლენების და კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ (სამაგისტროს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანგარიში).

პროგრამის შემუშავებისას უსდ-ს მხრიდან ჩატარებულ იქნა შრომის ბაზრის ანგარიში. გამოიკვეთა 9 პოტენციური დამსაქმებელი. გამოკითხული ჰყავთ სხვადასხვა უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, ჯამში 42 რესპონდენტი.

სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების სამომავლო ხედვის თანახმად, იგეგმება საერთაშორისო დონორების, ორგანიზაციების და უცხოური უნივერსიტეტების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში. რაც გულისხმობს, უცხოელი კოლეგების მოწვევას ლექციების და ტრენინგების ჩასატარებლად, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას და მაგისტრანტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- თსუ-ის მისია
<https://www.tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91>
- თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N79/2018 დადგენილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის დამტკიცების შესახებ“; <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15991>
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგები წარმოდგენილია 10 პუნქტის სახით, რომელიც გადანაწილებულია 3 ჯგუფად.

ცოდნა და გაცნობიერება – წარმოდგენილია 3 პუნქტით.

- o ფლობს სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებების თეორიული მიდგომებს, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, გავლენების, პოლიტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში სფეროებში პრობლემების შესწავლის მიზნით დამოუკიდებლად გეგმავს კვლევას და ახორციელებს;
- o გავლენების, პოლიტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში კლასიკური და თანამედროვე ემპირიული აღმოჩენები შეფასების საფუძველზე აყალიბებს თანმიმდევრული და რელევანტურ რეკომენდაციებს, ეფექტური გადაწყვეტილებების განსაზღვრის მიზნით.
- o შესაბამისად იყენებს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები.

რეკომენდებულია შეიცვალოს სწავლის შედეგის პირველი პუნქტის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას გავლენების, პოლიტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგებში სისტემური თეორიული ცოდნის საფუძველზე.

მეორე პუნქტში გრამატიკული შეცდომებია, რაც ბუნდოვანს ხდის სწავლის შედეგის შინაარსს. უნდა იყოს – გავლენების, პოლიტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში კლასიკური და თანამედროვე ემპირიული აღმოჩენების შეფასების საფუძველზე აყალიბებს თანმიმდევრულ და რელევანტურ რეკომენდაციებს, ეფექტური გადაწყვეტილებების განსაზღვრის მიზნით.

პრაქტიკული უნარები წარმოდგენილია 4 პუნქტით.

- მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და კომპლექსური შეფასების საფუძველზე, ჩამოაყალიბოს ჰოლისტური, დასაბუთებული დასკვნები გავლენების, პოლიტიკის,

კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში;

- გავლენების, პოლიტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საკუთარი პროფესიული აზრისა და დასკვნების არგუმენტირებულად ჩამოყალიბება და გაზიარება როგორც წერილობით, ასევე ვერბალურად/აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- სამეცნიერო კომუნიკაციის გამოყენებისა და მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი, კვლევის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე სფეროში არსებული საკითხების/პრობლემების, მიგნებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით;
- მეცნიერული კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისა და შესაბამისი დროისა და რესურსების ეფექტურად მართვის უნარი.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ასევე 4 პუნქტით.

- პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, დასმა და გადაწყვეტა;
- სწავლის პროცესი დამოუკიდებლად წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება;
- პროფესიულ საქმიანობის პროცესში რეფლექსია;
- პროფესიულ საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების დაცვა.

სწავლის შედეგებში – ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა – არის არაკორექტული შეცდომები. პირველი პუნქტში უნდა იყოს – პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირება, დასმა და გადაწყვეტა; მეორეში – სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, ცოდნის მუდმივი განახლება; მესამეში – პროფესიული საქმიანობის პროცესში რეფლექსია; და მეოთხეში – პროფესიული საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების დაცვა.

პროგრამის სწავლის შედეგები არის რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადი და შესაბამემა სამაგისტრო დონეს. კურიკულუმის რუკაზე ნაჩვენებია თუ რომელი სასწავლო კურსებით და კვლევითი კომპონენტით ვითარდება მაგისტრებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაზე მითითებულია ისიც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სასწავლო შედეგებს: 1 – გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

სავალდებულო კურსებიდან ჯგუფების ფსიქოლოგია (სილაბუსში – ჯგუფის ფსიქოლოგია) და მასობრივი კომუნიკაცია და გავლენა (სილაბუსში – მასობრივი კომუნიკაცია: კულტურული და პოლიტიკური ასპექტები), სწავლის ყველა შედეგების მიღწევის დონეა – 1. როგორც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, აღნიშნული შეიძლება იყოს მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი. გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევის დონეებთან შესაბამისობაში მოვიდეს. სასწავლო კურსის დასახელება სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე ერთი და იგივე უნდა იყოს.

სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია სწავლის მიზნებთან. თუმცა, პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე, შედეგი – მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და კომპლექსური შეფასების საფუძველზე, ჩამოყალიბოს ჰოლისტური, დასაბუთებული დასკვნები გავლენების, პოლიტიკის, კომუნიკაციის და კროსკულტურული ფსიქოლოგიის დარგში – არ არის აღნიშნული რომელ მიზანს ემსახურება (ტექნიკური ხარვეზია).

სამაგისტრო პროგრამის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რასაც მაგისტრანტი მიაღწევს პროგრამის დასრულებისას და არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი, რომ მათთვის ამ

პროგრამის ფარგლებში მომზადებული კადრი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება და მომავალში, მათ ომპეტენტური კადრის დასაქმების სურვილი გამოთქვას.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციის, მონათესავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით.

პროგრამას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ შეფასების მექანიზმი, რომელიც სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით განხორციელდება. სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს.

პროგრამის სწავლების შედეგების შეფასებისას გამოყენებული იქნება როგორც პირდაპირი (მაგ. სტუდენტების აკადემიური მოსწრება), ასევე არაპირდაპირი (მაგ. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები) მეთოდები.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები პროგრამის ათივე სწავლის შედეგში. სამიზნე ნიშნულია –სტუდენტების 80–მა პროცენტმა უნდა მიიღონ მაქსიმალური შეფასების 75-100 %-ი.

სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებისთანავე ამუშავდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია დადგინდეს თუ რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და განხორციელდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებაში სტუდენტთა მონაცემების ანალიზი და იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ნიშნული არ იქნება მიღწეული, განისაზღვროს გაუმჯობესების გზები.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა, როგორც ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება.
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება N77/2011 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“; <https://www.tsu.ge/en/legalakad/39830>
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგები.
-

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და სილაბუსების სწავლის შედეგების მიღწევის დონეებთან შესაბამისობაში მოვიდეს.
- გასწორდეს სასწავლო კურსის დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაზე მითითებულ ინფორმაციასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერება, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, გასწორდეს ფორმულირებები და არაკორექტული შეცდომები.
- გასწორდეს ხარვეზი პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის – „გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სტუდენტი შეიძლება გახდეს სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – საერთო სამაგისტრო გამოცდებს. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს საუნივერსიტეტო გამოცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში, წარადგინოს სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე და წარმატებით გაიაროს გასაუბრება ინგლისურ ენაზე (სპეციალურად მოზადებული ტექსტების თარგმნა და წარმოდგენა გასაუბრების პროცესში).

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე;

პროგრამაზე სწავლის მსურველთა სრულყოფილად ინფორმირების მიზნით პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად განთავსდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის) და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული მხარდაჭერა მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და საჯაროობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge ;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე მიზნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით და შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის სისტემას (ECTS).

გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც შედგება: ა) სავალდებულო სასწავლო კურსებისგან – 50 (ECTS); ბ) არჩევითი კურსებისგან – 30 (ECTS); გ) თავისუფალი კრედიტები 10 (ECTS); დ) სამაგისტრო ნაშრომი - 30 (ECTS).

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, (საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა, გვ. 7) სამაგისტრო პროგრამის საერთო სავალდებულო კურსებია:

- სოციალური ფსიქოლოგია – (5 ECTS);
- გავლენების ფსიქოლოგია – (5 ECTS);
- კროს-კულტურული ფსიქოლოგია – (5 ECTS);
- პოლიტიკური ფსიქოლოგია – (5 ECTS);
- ჯგუფების ფსიქოლოგია –(5 ECTS);
- მასობრივი კომუნიკაცია და გავლენა – (5 ECTS);
- კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (SPPS- რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი)– (5 ECTS);

- კვლევის თვისებრივი მეთოდები –(5 ECTS);
- სამეცნიერო წერა –(5 ECTS);
- სტაჟირება/ პრაქტიკა –(5 ECTS).

მიუხედავად თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციისა, სასწავლო გეგმის და კურიკულუმის რუკის მიხედვით, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ შედის სამეცნიერო წერა, ხოლო კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით – ორი დამოუკიდებელი სავალდებულო კურსია.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უზუსტობა/შეუსაბამობა უნდა გასწორდეს.

კურიკულუმის რუკაზე კურსი –სამეცნიერო წერა – არის სავალდებულო არჩევითი, ხოლო სილაბუსში მითითებულია სტატუსი არჩევითი. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს მათ განაცხადეს რომ სამეცნიერო წერა იქნება სავალდებულოდ არჩევითი. ჩვენი აზრით, სამეცნიერო წერა რეკომენდებულია იყოს სავალდებულო კურსი, ვინაიდან იგი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების ჩამონათვალში მითითებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და კვლევის თვისებრივი მეთოდები, მაშინ როდესაც სილაბუსებში მათი დასახელებაა კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. ვინაიდან, ერთ–ერთი სავალდებულო სახელმძღვანელო ამ კურსებისთვის არის

– Creswell, John W.(2014) Research design : qualitative, quantitative, and mixed methods approaches. SAGE Publications, Inc. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კურსების დასახელება იყოს კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 1 და კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები 2 ან, ისე, როგორც სასწავლო გეგმაშია მოცემული – კვლევის რაოდენობრივი მეთოდები და კვლევის თვისებრივი მეთოდები.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს არჩევითი კურსების დიდ დიაპაზონს. მას შეუძლია აირჩიოს საგნები პროგრამის 4 მოდულიდან (გავლენების ფსიქოლოგია, პოლიტიკის ფსიქოლოგია, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, კროსკულტურული ფსიქოლოგია) მისთვის საინტერესო მიმართულებების მიხედვით, ან, შეუძლია აირჩიოს ინტერდისციპლინური მოდულის კურსებიც, იმ პირობის დაცვით, რომ თითოეული მოდულიდან თითო საგანი მაინც იქნება არჩეული. თითოეულ მოდულში შემავალი კურსები შესაბამისობაშია მოდულის დასახელებასთან. მაგალითად, გავლენების ფსიქოლოგიის მოდულში გაერთიანებულია შემდეგი არჩევითი კურსები: დამარწმუნებელი კომუნიკაცია; ემოციური და ქცევითი გავლენები; გავლენები: მოზარდთა სუბკულტურები და მედია; სტიგმა; ცრურწმენები, სტერეოტიპები და დისკრიმინაცია.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმის მიხედვით რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის სასწავლო კურსები დალაგებული, ვინაიდან არ არის მითითებული სწავლების სემესტრები. სასწავლო გეგმაში, სწავლების სემესტრში დაემატოს კიდევ ორი სვეტი, შემოდგომის სემესტრი III და გაზაფხულის სემესტრი IV. პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსზე არსებობს დაშვების ადეკვატური წინაპირობა.

როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანგარიშით, ასევე აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი და პოტენციური დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართული ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს

სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია და პროცედურის დამტკიცების შესახებ“
<https://www.tsu.ge/ka/legalakad/15842>
- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სილაბუსები;
- დარგობრივი კომიტეტის სხდომის ოქმი;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- ფაკულტეტის ვებმისამართი <https://bit.ly/2YjVMel>
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- თანხვედრაში მოვიდეს სასწავლო გეგმის და კურიკულუმის რუკაში მოცემული სავალდებულო კურსების ჩამონათვალი.
- სასწავლო კურსების ჩამონათვალში შესწორდეს კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების დასახელებები.
- სასწავლო გეგმის მიხედვით რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის სასწავლო კურსები დალაგებული, ვინაიდან არ არის მითითებული სწავლების სემესტრები. სასწავლო გეგმაში, სწავლების სემესტრში დაემატოს კიდევ ორი სვეტი, შემოდგომის სემესტრი III და გაზაფხულის სემესტრი IV.
- სასწავლო კურსი –სამეცნიერო წერა– მიზანშეწონილია იყოს სავალდებულო, ვინაიდან იგი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობაა შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნება.

კურსების სილაბუსებში გვხვდება გრამატიკული შეცდომები, რაც საჭიროებს გასწორებას (მაგალითად, „პოლიტიკური ფსიქოლოგია“ კვირა I – პოლიტიკური ფდიქოლოგიის საგანი და ადგილი პოლიტიკურ მეცნიერებათა შორის პოლიტიკურის ფსიქოლოგიის მეთოდები; კვირა VIII – საერთაშორისო ურთოერთობების თეორია; „კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები“ კვირა IV, V –სტურქტურითრებული ინტერვიუს გამოკითხვა; სტურქტურითრებული ინტერვიუს წარმართვა; „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ კვირა III– უდიტორიის პოზიციონირება და შეფასებითი დისპოზიციის ლნგვისტიკა;

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შესაბამისობაშია კურსის სირთულესთან და სწავლის შედეგებთან. იმისათვის რომ დადგინდეს, რამდენად ეფექტიანია საათების არსებული განაწილება, ყოველი სემესტრის შემდეგ ჩატარდება სტუდენტების გამოკითხვა დატვირთვის ადეკვატურობის შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა/სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის

სილაბუსში განმარტებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები სრულყოფილად აფასებს კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რესურსები. ზოგიერთი კურსის (მაგ. სოციალურ ფსიქოლოგია, გავლენების ფსიქოლოგია) ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება გავლენების, პოლიტიკური, კროს-კულტურული და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს.

კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის, ელექტრონული სწავლების ვებ-გვერდზე:

e-learning.tsu.ge. მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე. თუმცა, საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერებისას შემთხვევით შერჩეული 3 სახელმძღვანელოდან ბიბლიოთეკაში ერთი არ აღმოჩნდა ადგილზე. მაგისტრებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები (EBSCOHost, Cambridge Journals Online, Oxford Journals Collection, Encyclopaedia Britannica, BioOne, Royal Society Journals Collection, IMF eLibrary, Massachusetts Medical Society, Pediatric Neurology Briefs Publishers, SAGE Publications, Jstor, EconLit, EconBiz, IOP Publishing, Elsevier Science Direct, Web of Science და სხვ) როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში, ასევე უნივერსიტეტის მიღმა (მათთვის, ვისაც აქვს უნივერსიტეტის ელფოსტა).

უნივერსიტეტში სწავლისა და კვლევის პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუშაობს ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა Turnitin, რომელიც ემსახურება პლაგიატის პრევენციას. სტუდენტებს ექნებათ საშუალება, ისარგებლონ ელექტრონული სწავლების პორტალი – Moodle-ით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15638>
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; <https://tsu.ge/>
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გასწორდეს კურსების სილაბუსებში გრამატიკული შეცდომები და კურსის დასახელებები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე მიზნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, სწავლის შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა.</p> <p>პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი დამოუკიდებელი 5-კრედიტიანი კურსის სახითაა წარმოდგენილი და ხორციელდება სწავლების მე-IV სემესტრში, სამაგისტრო კვლევის შესრულების პარალელურად. სტუდენტებს შეუძლიათ პარტნიორი ორგანიზაციების სიიდან აირჩიონ მათთვის სასურველი ორგანიზაცია. პრაქტიკის კურსის სილაბუსში არ არის აღწერილი პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას. თუმცა, მოცემულია პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების მექანიზმები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მართალია არის პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ხელშეკრულება, რაც მიზანშეწონილია დადგენილი სტანდარტის შესაბამისად იყოს გაწერილი. პრაქტიკის კურსის დასრულების შემდეგ, მაგისტრები ავსებენ პრაქტიკის შეფასების ფორმას. რაც, თავის მხრივ, პრაქტიკის კურსის დახვეწას და გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.</p> <p>სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსების (მაგალითად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემების სტატისტიკური დამუშავების პროგრამა SPSS სოციალური მეცნიერებებისთვის) საფუძველზე. სწავლების მე-IV სემესტრში, სტუდენტებმა უნდა შეასრულონ ინდივიდუალური კვლევითი ნაშრომი, რომელიც მოიცავს შესაბამისი კვლევის დაგეგმვას, მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას, და ასევე - კვლევითი ანგარიშის დაწერას. სამაგისტროს ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი ირჩევს იმის მიხედვით, თუ რომელი პედაგოგის კვლევის სფეროს შეესაბამება ამ სტუდენტის კვლევითი ინტერესი; სამაგისტრო</p>

ნაშრომის ხელმძღვანელობას განახორციელებენ კვალიფიციური პირები, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- დამსაქმებლის გამოკითხვის ანგარიში.
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმი/ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობას და სტუდენტების რაოდენობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება განხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებული იქნება სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორცაა, ლექცია, სემინარი, პრაქტიკასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია და დებატები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია და სხვ.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები ინდივიდუალურადაა შერჩეული თითოეული სასწავლო კურსისთვის. მაგალითად, კურსისთვის კონფლიქტების მართვა (პოლიტიკური, კროსკულტურული კონფლიქტები) გამოიყენება შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები – ლექცია/სემინარი, მცირე ჯგუფებში მუშაობა, კითხვა - პასუხი, დისკუსია, შემთხვევის შესწავლა, გონებრივი იერიში, პრეზენტაცია, ვიდეოს ანალიზი, ელექტრონული სწავლება (e-learning). ხოლო, კურსისთვის, ჯგუფთან მუშაობის მეთოდები – დისკუსია, გონებრივი იერიში, ახსნა-განმარტება, როლური მოდელირება, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა. ელექტრონული სწავლება (e-learning). სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. შერჩეული სწავლა/სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი იქნება, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ https://e-learning.tsu.ge/ ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p>

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის და გამჭვირვალეა. სასწავლო კურსების შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, რისი დეტალური აღწერაც მოიპოვება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სილაბუსში მოყვანილია შეფასების ფორმა „დასწრება/აქტივობის“ ფორმულირებით. ასეთი შეფასება დასაზუსტებელია. მაგ. პოლიტიკური იდეოლოგიების სასწავლო კურსის სილაბუსში ლექციებზე დასწრება შეფასებულია 10 ქულით, ხოლო აქტივობა ცალკე შეფასებულია 20 ქულით. სასურველია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და მხოლოდ აქტივობა (რომელიც სტუდენტის დასწრების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს) იყოს გამოყენებული.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. იგი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია ხდება შესაბამისი კომისიის წინაშე, რასაც მოჰყვება დისკუსია. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

შეფასების შედეგების ასახვისთვის უსდ-ში არსებობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან კონსულტაციის შედაგად მიიღონ რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სასწავლო სამაგისტრო პროგრამა
- o სასწავლო კურსების სილაბუსები
- o თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სილაბუსების შეფასების ფორმებში სასურველია, დასწრების კომპონენტის ნაცვლად, მხოლოდ აქტივობის შეფასება იყოს გამოყენებული.

<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ამავე ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებისგან, სწავლების ყველა ეტაპზე</p>

იღებს სათანადო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ.

- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობებია: პირველკურსელთა საბუთების მიღება,
- სტუდენტების დახმარება მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის ანკეტის შევსებაში,
- მართვის ელექტრონული სისტემიდან შემოსულ სტუდენტთა კორესპონდენციაზე პასუხის მომზადება/გაცემა და ა.შ.

გარდა ამისა, უსდ-ს შემუშავებული აქვს მაგისტრატურის გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მასში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სტუდენტების დატვირთვა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობს ასევე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, სადაც სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების, მიღებული შეფასებებისა და მინიჭებული კრედიტების ნახვის საშუალება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, სემესტრის განმავლობაში ეტაპობრივად გადაიხდოს სწავლის საფასური.

ადმინისტრაციული პერსონალის გარდა, გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, კონსულტირების მეშვეობით, აკადემიური პერსონალისგან დახმარებას მიიღებს ისეთ სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: შუალედური და საბოლოო გამოცდის ფორმატი, მათი მიმდინარეობისა და შეფასების საკითხები და ა.შ.

რადგან პროგრამა ახალია და გადის სააკრედიტაციო პროცესს, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი არ არსებობს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ სტუდენტებს ინფორმირებულობის მიუხედავად, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება
- უსდ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი
- უსდ-ს მაგისტრატურის გზამკვლევი
- უსდ-ს სწავლის სემესტრული საფასურის ეტაპობრივი გადახდის შესახებ
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა: lms.tsu.ge
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა:
- https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/2019/1002019_d1.pdf
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ს აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი ვალდებულია, თითოეულ სტუდენტს დაეხმაროს ნაშრომზე მუშაობის პროცესში, კერძოდ: ა) გამართოს რეგულარული პირისპირ და/ან ონლაინ შეხვედრები სტუდენტთან ან, საჭიროებისამებრ, სტუდენტების ჯგუფთან; ბ) მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია ნაშრომის მომზადების ზოგადი რეგულაციების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებით, ასევე, აკადემიური ეთიკის, მონაცემთა დაცვის, პლაგიატის შესახებ; აუხსნას სტუდენტს ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები. გ) გაუწიოს კონსულტაცია კვლევის კონცეფციის შემუშავების პროცესში (მაგ.: საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის შემუშავება, კვლევის მეთოდების განსაზღვრა და სხვ.).

სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა ხდება მეოთხე სემესტრის დასაწყისში; აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, მაგისტრანტი სასწავლო ბარათში (sms.tsu.ge) აფიქსირებს თავის არჩევანს და რეგისტრირდება საგანზე: სამაგისტრო ნაშრომი (შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მითითებით). მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი მტკიცდება შესაბამისი ინსტიტუტის სხდომაზე, რის

შესახებაც დგება ოქმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები და ბოლო 10 წლის მანძილზე გახორციელებული კვლევები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხსა და აქვს პრაქტიკული მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება.

თვითშეფასებია ანგარიშის მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ჩართულია 17 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 7 (7 ასოცირებული პროფესორი), ხოლო 10 მოწვეული პერსონალი. ხოლო, პროგრამის აღწერილობაში მითითებულია 16 პედაგოგი (7 ასოცირებული პროფესორი), ხოლო 9 მოწვეული პერსონალი). სასურველია აღნიშნული მაჩვენებლები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

თსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტპროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები, რომელთა მიზანია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ პერსონალს შორის ჩამოაყალიბოს ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტს გაუჩინს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამი ჩართული აკადემიური პერსონალიდან 7 არის აფილირებული თსუ-სთან. რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას მოემსახურება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული 14 ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა რიცხვი საკმარისია აღნიშნულ

პროგრამაზე მისაღები კონტინგენტისათვის.

არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. უმეტესობის პირადი საქმეები მათ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე მეტყველებს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში (ძირითადად მოწვეულ პერსონალთან), ნაკლებად დასტურდება ბოლო პერიოდში აქტიური კვლევითი საქმიანობა (როგორც კვლევის წარმოება, ისე ნაშრომების გამოქვეყნება).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში შედის ისეთ საქმიანობები, როგორცაა სილაბუსების შემუშავება და მათი პერიოდული გადასინჯვა; სალექციო მცადინებების ჩატარება; პრაქტიკული სასემინარო დავალებების მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება; პრაქტიკული სავარჯიშოების მომზადება; სტუდენტებისათვის კონსულტირების გაწევა; მონაწილეობა შესაბამისი პროგრამის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ აქტივობებში; საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში ჩართვა.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, შეუძლებელია შეფასდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან სტუდენტების კონსულტირების, პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. თუმცა, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაშიც არის ჩართული, უკვე არსებული კვლევის შედეგები მოწმობს პერსონალის მხრიდან სტუდენტების კონსულტირების პროცესში ჩართულობაზე.

გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის შემუშავებისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ვინაიდან პროგრამა ახალია, შეუძლებელია შევაფასოთ ხელმძღვანელების პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში ჩართულობა. თუმცა, ვიზიტისას მკაფიოდ გამოჩნდა ხელმძღვანელების მზაობა და ინტერესი პროგრამის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოწვეული პერსონალი მეტად აქტიური იყოს კვლევითი საქმიანობის (როგორც კვლევის წარმოების, ისე გამოქვეყნების) თვალსაზრისით.
- სასურველია თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობაში ინფორმაცია პერსონალის რაოდენობის შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პირების შეფასებას. შეფასებაში მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. თითოეული მათგანი აფასებს კონკრეტულ ასპექტს, როგორცაა სამუშაო აღწერილობა, ოპერაციული მიზნები, საბაზისო კომპეტენციები, ქცევითი კომპეტენციები და კვლევითი საქმიანობა. უსდ-ში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებენ ყოველი სემესტრის ბოლოს. ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, ამგვარი შეფასება ჯერ არ ჩატარებულა პროგრამის ფარგლებში.

უსდ პერსონალს აქტიურად სთავაზობს ტრენინგებში მონაწილეობას სწავლება-სწავლის, აკრედიტაციის-ავტორიზაციის, შეფასების სისტემის, სწავლის შედეგების გაწერასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული პირების განვითარებაზე. როგორც ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული ინტერვიუებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კვლევებსა თუ კონფერენციებში. აკადემიური პერსონალი პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობას ღებულობს გაცვლით პროექტებში მსოფლიოს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებში.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი გამოხატულებაა სამეცნიერო მივლინებების ფინანსური მხარდაჭერა.

ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და

პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვის კუთხით, რაც სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ლექტორებსა და სტუდენტებს შორის საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს ინფორმაციის ეფექტიან გავრცელებას. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი “ფსიქოლოგია”.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარსხის სამსახურთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევით საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, პანდემიის პირობებში პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან შემოფარგლული იყო თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიუების მიმდინარეობისას ინფორმაციის დაზუსტებით. რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტში არსებული ბიბლიოთეკა სტუდენტებს, ამ ეტაპზე დისტანციურად, სათანადო მხარდაჭერას უწევს. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიუებისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი წიგნი ვერ მოიძებნა სისტემაში. პარალელურად, ექსპერტები გაეცნენ ელექტრონულ პორტალს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს გაციფრულებულ მასალებზე აქვთ წვდომა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით განსაზღვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის ვებგვერდი არის იოლი მოსახმარი და ყველასთვის ხელმისაწვდომი, როგორც სტუდენტებისთვის ისე პერსონალისთვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და თსუ-ს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოწყობილია ხმისჩამწერი აუდიო სტუდია შშმ პირთათვის აუდიო წიგნების მომზადების მიზნით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზში და თსუ-ს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სპეციალური საჭიროების მქონე მკითხველისთვის (უსინათლოებისთვის) სამუშაო სივრცე შესაბამისი კომპიუტერთა და პროგრამული უზრუნველყოფით.

თსუ-ს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, სამივე საფეხურის სტუდენტებს წვდომა აქვთ მსოფლიოს მნიშვნელოვან, საინფორმაციო და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე. კერძოდ, EBSCOHost, Cambridge Journals Online, Oxford Journals Collection, Encyclopaedia Britannica, BioOne, Royal Society Journals Collection, IMF eLibrary, Massachusetts Medical Society, Pediatric Neurology Briefs Publishers, SAGE Publications, Jstor, EconLit, EconBiz, IOP Publishing, Elsevier Science Direct, Web of Science და სხვ.

ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან, რათა უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრამები საკმარისი რაოდენობის თანამედროვე ლიტერატურით იყოს უზრუნველყოფილი. თუმცა, შეხვედრისას რამდენიმე წიგნის გადამოწმების დროს, მათი რაოდენობა იყო მცირე (1-დან 3 ეგზემპლარამდე), რაც ვფიქრობთ, არასაკმარისია. სასურველია, მოხდეს სახელმძღვანელოების გაციფრულება. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ აღნიშნული დეპარტამენტი დამოუკიდებლადაც ზრუნავს ლიტერატურის განახლებაზე. ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მაქსიმალურად შეამცირონ შედარებით ძველი მასალით სარგებლობის შემთხვევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო რესურსი;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები;

<ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○ გადაიხედოს წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს სახელმძღვანელოების გაციფრულება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h4 style="color: blue;">4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</h4>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსები, რაც ეკონომიკურად მიღწევადია. ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები აკადემიური და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებისთვის, პრაქტიკის ობიექტისათვის, ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკისათვის.</p> <p>ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ უსდ-ს ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს თანხა, რომელიც აქტიურადაა მიმართული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებაზე. ვიზიტისას არაერთხელ აღინიშნა, რომ კორონავირუსით შექმნილი სიტუაციის ფონზე ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის - ე.წ. “PCDA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და დისკუსიის წარმართვის მიზნებისათვის.

უსდ-ს დანერგილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა, რომელიც წელიწადში სულ მცირე ორჯერ იკრიბება. საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, შედის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, პროგრამის განვითარების კომიტეტსა და გარე ექსპერტის შეფასებას. გავლენების ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნა გარე ხარისხის შეფასების ისეთი მექანიზმები, როგორცაა კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა. მიღებული რეკომენდაციები კი გამოყენებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ პროგრამა გაზიარებულ იქნა 4 ევროპული ქვეყნის უნივერსიტეტთან (ჟენევის უნივერსიტეტი, პორტოს უნივერსიტეტი, გრანადის უნივერსიტეტი და ტარტუს უნივერსიტეტი). პროგრამამ მოიპოვა მხარდაჭერა შესაბამისი პროფილის ექსპერტთა მხრიდან და აღნიშულ იქნა მისი უნიკალურობა და კომპლექსური შინაარსი. ამასთან, პროგრამას, უსდ-ს თანამშრომლობის ფარგლებში შემავალ პარტნიორ უნივერსიტეტებთან აქვს გამოცდილების გაზიარებისა და შეფასების პროცესის სრულყოფის უნიკალური შესაძლებლობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა

<ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები ○ მხარდაჭერის წერილები ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას.</p> <p>ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა</p>

შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან /პრაქტიკოსებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა დაბალი ინტერესი და გამოპასუხების დაბალი მაჩვენებელი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული ცვლილებების მუხედავად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. სასურველია სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა და განხორციელება გამოკითხვებში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით სტუდენტთა და თანამშრომელთა მიმართულებით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც აკრედიტაციის ვადის ფარგლებში რეგულარულად განიცდიან ცვლილებებს და ის პროგრამებო, რომლებიც ყველაზე ნაკლებად განიცდიან ცვლილებებს. აღნიშნული სააკრედიტაციო პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. კონკრეტულ შემთხვევაში, პროგრამის უნიკალური შინაარსიდან გამომდინარე, მოიძიებულ და შესწავლილ იქნა მხოლოდ ერთი ანალოგი პროგრამა და გაზიარებულ იქნა აღნიშნული გამოცდილება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ვინაიდან პროგრამა სააკრედიტაციო რეჟიმშია, პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით რეაკრედიტაციისათვის გათვალისწინებული იქნება რიგი ცვლილებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სხვადასხვა მექანიზმების შემუშავება გამოკითხვებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: გავლენების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნათია ბადრიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
მზია თედიაშვილი



სალომე საბიაშვილი



თამთა ცხოვრებაძე



ლანა ბოკუჩავა

